



#8 (40), აგვისტო-სექტემბერი, 2010

**იურიდიული დახმარების  
კლინიკა**

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტში შეიქმნა იურიდიული დახმარების კლინიკა, რომლის მიზანია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის იურიდიული მომსახურება.

**კლინიკაში იურიდიული მომსახურება  
უფასოა და მოიცავს:**

- იურიდიულ კონსულტაციას;
- სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ ორგანოებში და სასამართლოში.

**კლინიკის საქმიანობის ფორმები**

- სატელეფონო კონსულტაცია;
- პირადი კონსულტაცია;
- გასვლითი იურიდიული კონსულტაცია (რეგიონებში);
- [ონლაინ კონსულტაცია](#).

თბილისი 0171

26 მაისის მოედანი 2, V სართული

ტელ: (995 32) 94 16 05

ფაქსი: (995 32) 33 04 17

ელ-ფოსტა: [legalclinic@civilin.org](mailto:legalclinic@civilin.org)

ვებ-გვერდი: [www.civilin.org/welfare](http://www.civilin.org/welfare)

ყოველთვიურ ელექტრონულ  
გამოცემას აშზადებს  
სამოქალაქო საზოგადოების  
ინსტიტუტი

ვებ-გვერდი: [www.civilin.org](http://www.civilin.org)

**სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ  
სოციალურ  
სფეროზე ორიენტირებული  
საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის ეფექტური  
საარსებო გარემოს შექმნის პროექტის  
ფარგლებში გამოცხადებული საგრანტო კონკურსის  
შედეგები**



სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა „სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის ეფექტური საარსებო გარემოს გაუმჯობესების“ პროექტის ფარგლებში 2010 წლის მაისში გამოაცხადა საგრანტო კონკურსი, რომლის მიზანაც იყო საქართველოში ზრუნვაზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინსტიტუციონალური მდგრადობის და განვითარების ხელშეწყობა.

საკონკურსოდ ზრუნვაზე ორიენტირებულმა 40-ზე მეტმა ორგანიზაციამ შემოიტანა პროექტი, რომელთაგან ყოველი 4 ორგანიზაციის პროექტს მიანიჭა უპირატესობა. შესაბამისად, კონკურსი გაიმარჯვა შემდეგმა ორგანიზაციებმა:

1. „ბავშვი და გარემო“;
2. გურიის რეგიონის ინვალიდთა ასოციაცია;
3. უსინათლოთა და მცირემხედველთა ასოციაცია „უსინათლოები საზღვრებს გარეშე“;
4. კავშირი „ია“.

პროექტის განხორციელებისთვის თითოეული მათგანი მიიღებს 3000 ევროს გრანტის სახით

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

ინსტიტუციონალური განვითარების საგრანტო კონკურსში გამარჯვებულები

ბავშვი და გარემოს შექმნილი გარემო



ორგანიზაციამ „ბავშვი და გარემომ“ ფუნქციონირება 90-იანი წლებიდან დაიწყო. 1994 წელს რამდენიმე მეგობარმა ქუჩაში მყოფი ბავშვების პრობლემების მოგვარებაზე დაიწყეს ზრუნვა, მოხალისეებმა შექმნეს მობილური სამსახური, რომელის მიზანიც ბავშვების დახმარება იყო... მას შემდეგ, ორგანიზაცია განაგრძობს ბავშვების დახმარებას და მისი მთავარი მიზანიც სწორედ ბავშვების ფიზიკური და სულიერი დახმარებაა. ამ მიზნით მათ რამდენიმე ქალაქში დღის და ღამის ცენტრები შექმნეს და მრავალ ბავშვს გაუწიეს და უწევინ დახმარებას საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით. ვრცელი ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ იხილეთ ვებ გვერდზე: <http://www.childandenvironment.org.ge>

•



თბილი და მყუდრო ოჯახი

გურიის რეგიონის ინვალიდთა ასოციაცია 1991 წელს შეიქმნა. მისი მიზანია დაიცვას და დაეხმაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და ხელი შეუწყოს მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში. არსებობის მანძილზე ასოციაციამ სხვადასხვა ორგანიზაციის მხარდაჭერით მრავალი პროექტი განახორციელა. რაც ხელს უწყობს რეგიონში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ინტეგრაციას საზოგადოებაში, ერთმანეთთან დამეგობრებასა და მათ

საგანმანათლებლო, კულტურულ, სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცხოვრებაში ჩართვას. ყველაზე უკეთ ორგანიზაციის საქმიანობას ერთ-ერთი ბენეფიციარის ჩანაწერი აღწერს: „გურიის რეგიონში არის ასეთი დაწესებულება „ინვალიდთა ასოციაცია“, სადაც ერთი დიდი, თბილი და მყუდრო ოჯახი ცხოვრობს. მე აქ გავიჩინე ბევრი მეგობარი. ამ ოჯახის ბავშვები ჭირშიც და ლხინშიც ერთად ვართ. ჩვენ უერთმანეთოდ ვერ ვძლებთ... აქ სიარული ძალიან კარგ გუნებაზე მაცენებს. რომ არ მოვდივარ იმ დღეს შინ ველარ ვისვენებ, რადგან ძალიან მენატრებიან ბავშვები. ისინი ხომ ძალიან მეგობრულები არიან...“


•

აი ია



კავშირი „ია“ 2005 წელს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მშობლების მიერ დაარსდა. მისი მიზანია საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მდგომარეობის და მათდამი საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლა, სტიგმის დაძლევა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა და მათი განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნა. სხვადასხვა პროექტების ფარგლებში ფუნქციონირებს შშმ ბავშვთა და მოზარდა დღის ცენტრები, სადაც ისინი და-მმებთან ერთად სრულფასოვან მონაწილეობას ღებულობენ და თითოეულს ღირსეული წვლილი შეაქვს ლამაზი ნივთების დამზადებაში, რომლის გამოფენა-გაყიდვაც ხშირად ეწყობა.

**როგორ ეხმარება ბუ უსინათლოებს**



ელექტრონული გამოცემის მკითხველები და შესაბამისად ვებ-გვერდის <http://www.civilin.org/welfare> მომხმარებლები წინა პუბლიკაციებით ინფორმირებულნი არიან ორგანიზაცია „ბავშვი და გარემოს“, გურიის რეგიონის ინვალიდთა ასოციაციისა და კავშირი „იას“ საქმიანობის შესახებ. ამჯერად უფრო ვრცლად გაგაცნობთ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული კიდევ ერთი ორგანიზაციის – უსინათლოთა და მცირემხედველთა ასოციაციის „უსინათლოები საზღვრებს გარეშე“ საქმიანობას, ანუ გაეცნობით თუ როგორ ეხმარება ბუ უსინათლოებს.

კომპიუტერული პროგრამები „ბუ“ და „ინტერბუ“ უსინათლოებსა და მცირემხედველობის მქონე პირებს საშუალებას აძლევს გახმოვანებულ წიგნებს გაეცნონ, დამოუკიდებლად იმუშაონ კომპიუტერთან, ხოლო მეორე მათგანი ინტერნეტში არსებულ საინფორმაციო სივრცესთან დაშვების საშუალებას აძლევთ. ორივე პროგრამა უსინათლოთა და მცირემხედველთა ასოციაციის მიერ სხვადასხვა დონორის დახმარებითა და სხვადასხვა წლებში განხორციელდა და დღესაც ფუნქციონირებს. ორგანიზაციის მიზანძღვრულ ტექნოლოგიების გამოყენებით უსინათლოთა უზარობის შემსუბუქება და ცოდნის ამაღლების ხელშეწყობაა. ყოველივე ხელს უწყობს მათ ადაპტაციას საზოგადოებაში და თვითრეალიზაციას. სუბსიდიების სააგენტოს ოფიციალური მონაცემებით ქვეყანაში 7059 პირველი ჯგუფის უსინათლოა აღრიცხული, მათ შორის თბილისში ცხოვრობს 3127. ორგანიზაცია 2001 წელს დაფუძნდა და 2001–2002 წლებში საფრანგეთის მთავრობის მიერ გამოცხადებული კონკურსის – „ადამიანის უფლებები და ინვალიდობა“ – გამარჯვებული გახდა. კონკურსში 48 ქვეყნიდან 200-მდე პროექტი იყო წარდგენილი. მსოფლიო დონის კონკურსის გამარჯვებულებს საფრანგეთის პრემიერი აჯილდოვებს, ამჯერადაც ტრადიცია დაცული იყო – ორგანიზაცია პრემიერმა დააჯილდოვა და ოქროს მედალი გადასცა. შემოსული თანხით უსინათლოთა სასწავლო ცენტრი გაიხსნა. მას შემდეგ ორგანიზაციამ რამდენიმე პროექტი განახორციელა, რომელებიც უსინათლოების განვითარებასა და ცოდნის ამაღლებისკენ არის მიმართული.



**თქვენ ყოველთვიურად ეცნობით სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ, სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, მომზადებულ ელექტრონულ საინფორმაციო ბიულეტენს.**

**ბიულეტენი თქვენთვის იქნება და თქვენს სამსახურშია, მოგვწერეთ თქვენი წინადადებები. ელ-ფოსტა: [welfare@civilin.org](mailto:welfare@civilin.org)**

**ბიულეტენის ერთ-ერთი მთავარი თემა თქვენი საქმიანობა**

**და ღონისძიებებია. მოგვწერეთ, მოგვაწოდეთ ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ, ჩვენ კი გთავაზობთ: ღონისძიების ანონსის გავრცელებას ელექტრონული ფოსტით, ღონისძიების გაშუქებას საინფორმაციო ელექტრონული ბიულეტენის საშუალებით.**

**მოგვაწოდეთ ინფორმაცია თქვენი გამოცემების შესახებ და ჩვენ განვათავსებთ მათ პროექტის ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare>**

**მოგვაწოდეთ ინფორმაცია იმ პროდუქციის შესახებ, რომელსაც აწარმოებთ სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან არსებულ სახელოსნოებში,**

**მათ განვათავსებთ პროექტის ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare>**

**ნუ გაუშვებთ შესაძლებლობას გაეცნოთ და გაგიცნონ**



**ამოქმედდა ოჯახსა და ბავშვზე ზრუნვის ცენტრი**

**მოზარდთა დელიქვენტობის ექსპერტების ტრენინგი**

გლდან-ნაძალადევის რაიონში მდებარე „არტ ჰოლის“ შენობაში ამოქმედდა ოჯახზე და ბავშვზე ზრუნვის ცენტრი. ცენტრი მუშაობს მაღალი რისკის ოჯახებთან და ქცევით-ემოციური პრობლემების მქონე ბავშვებსა და მოზარდებთან.

**ცენტრის მისამართი:**  
ც.დადიანის26|ჩოღრიშვილის 2  
**ტელეფონი: 14-34-34**

ბავშვთა და მოზარდთა დელიქვენტობის და ძალადობის შემსწავლელი ალიანსის წევრებს, ასევე ოჯახსა და ბავშვზე ზრუნვის ცენტრის პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგების ციკლი.

საინფორმაციო წყარო: გიგ-თბილისის ბიულეტენი



[www.civilin.org/welfare](http://www.civilin.org/welfare)

სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში მუშაობს პროექტის ვებ-გვერდი, სადაც იხილავთ ინფორმაციას პროექტის ცალკეული კომპონენტების განვითარების შესახებ. ვებ-გვერდი ინფორმაციას აწვდის პროექტის ძირითად ბენეფიციარებს – სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს – ქვეყანაში მიმდინარე დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის შესახებ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის არსებული პრეცედენტების შესახებ, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესახებ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის კუთხით. ვებ-გვერდზე განთავსებულია

სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების დირექტორია, სადაც ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციების პროფაილები განთავსდება. თუ რომელიმე ორგანიზაცია ვერ მოხვდა მონაცემთა ბაზაში, მას შესაძლებლობა ეძლევა დაამატოს ინფორმაცია. ვებ-გვერდზე განთავსებულია კანონები და საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც გავლენას ახდენენ სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაზე. ორგანიზაციებს ეძლევათ ონლაინ იურიდიული დახმარების, კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა. ვებ-გვერდზე ასევე განთავსდება ინფორმაცია იმ პროდუქციის შესახებ, რომლებსაც აწარმოებენ სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ასევე, მათი პუბლიკაციები, კვლევები.